

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №9

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

2 თებერვალი 2018 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, კობა ძაგნიძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში ლუბა გოგოძე.

სხდომა 15⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა და წარმოადგინა 2018 წლის 2 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი.

1. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლილუაშვილის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ნაწილობრივ გამოყენების შესახებ.

მომხს.: /ალექსანდრე ლილუაშვილი/

2. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2018 წლის 2 თებერვლის ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

(დანართი № 2)

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე ლილუაშვილი, რომელმაც ოჯახური მდგომარეობის გამო, ბიუროს წევრებს თხოვა ანაზღაურებადი შვებულება 10 სამუშაო დღით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა და თანხმობა მისცეს მომხსენებელს შვებულების ნაწილობრივი გამოყენების.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

(დანართი № 3)

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე